

9 აპრილის ტრაგედიიდან 30 წელი გავიდა

❌ დღეს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 30 წელი შესრულდა. ამ დღეს, გამთენიისას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეენირა.

9 აპრილის მემორიალთან მთელი ღამის განმავლობაში მიდიოდნენ 9 აპრილის აქციის მონაწილეები, დალუპურთა ოჯახის წევრები, პოლიტიკოსები, რიგითი მოქალაქეები და გარდაცვრილთა ხსოვნას პატივს მიაგებდნენ.

დღიდან რუსთაველის გამზირზე პოლიტიკოსები და მოქალაქეები იკრიბებიან. მთავრობის სხვა წევრებთან ერთად იქ მივიდა ასევე პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, თავისუფლებისთვის ბრძოლა დღესაც გრძელდება.

„მე ქედს ვიხრი ჩვენი გმირების წინაშე, მათი ხსოვნის წინაშე და დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერი ყოველთვის ერთგული დარჩება იმ იდეალების, რისთვისაც 30 წლის წინ გაერთიანდა, გაერთიანდა ძარიან ძრიერად და ამან მოგვიტანა ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. სიმბოლურია ისიც, რომ ორი წლის შემდეგ ამ ტრაგედიიდან ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

9 აპრილის მემორიალთან მივიდა ასევე საქართველოს პრეზიდენტი სადომე ზურაბიშვილი და საქართველოს პატრიარქი ილია მეორე. სასურდერო პირებმა 9 აპრილს დალუპურთა მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

დედაქალაქის მერმა მოადგიდეებთან ერთად ასევე პატივი მიაგო დალუპურ გმირებს და მემორიარი ყვავიდეებით შეამკო.



ბათუმი, 9 აპრილის მემორიალი

ქუთაისში 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკვეს. დაღუპული გმირების პატივსაცემად მემორიალი ქუთაისის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს წევრებთან და ქადაქის მაჟორიტარ დეპუტატებთან გენადი მარგვერაშვილთან და დიმიტრი მხეიძესთან ერთად ყვავილებით შეამკო. მემორიალთან ასევე ეროვნული მოძრაობის წევრები და მოქადაქეები შეიკრიბნენ.

9 აპრილის მემორიალი გაიხსნა ბათუმში, გმირთა ხეივანში. მემორიალი ადგილობრივი ხერისუფრებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკვეს და 30 წლის წინ განვითარებული მოვლენები გაიხსენეს.



